საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო, დედის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

1990
ხუთშაბათი
14
ივნისი
№70 (10307)
ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

საქ. კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო
ОДИШИ — ОРГАН ЗУГДИДСКОГО ГОРОДСКОГО КОМИТЕТА КП ГРУЗИИ, ГОРОДСКОГО И РАЙОННОГО СОВЕТОВ НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ

მრეწველობა—90

## განახლებულ საამქროში

საწარმოო გაერთიანება „საქქალაქმშენებლობის" კაპიტალური შეკეთებისა და ხის დამუშავების საამქროები ამჟამად ერთ შენობაშია მოთავსებული. აქ ყოველგვარი პირობებია შექმნილი მაღალნაყოფიერი შრომისათვის.

მშრომელთა განკარგულებაშია კეთილმოწყობილი სასადილო, სადაც ადგილზე მზადდება ცხელი კერძები, გაყვანილია სასმელი წყალი, მშენებლობის პროცესშია საქტო დარბაზი, გარდერობი.

მუშა-მოსამსახურეებს საკუთარი ინიციატივით მოუწყვიათ გაზონი, დაურგავთ დეკორატიული მცენარეულობა.

საამქროს კოლექტივი (უფროსი მურმან თოდუა) ცდილობს წარმოებაში სიახლის დანერგვას. ახლო მომავალში კომპიუტერული სისტემით იწარმოებს ხელფასის დარიცხვა, ყოველდღიური გეგმის შესრულების გაანგარიშება, ხარჯთაღრიცხვა. კომპიუტერი ახალი შენობის პროექტსაც დაამუშავებს.

შესაცვლელია ხის დამუშავების საამქროში არსებული მანქანა-დანადგარები, რადგანაც ისინი ფიზიკურად და მორალურად გაცვეთილია.

ამჟამად ასფალტის წარმოება კუსტარული წესით ხდება. დაწყებულია ასფალტ-ბეტონის ქარხნის დამონტაჟება, რომელიც რამდენიმე თვეში შევა მწყობრში.

კაპიტალური შეკეთების კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ აქ ხუთი თვის გეგმა 110 პროცენტითაა გადაჭარბებული. გამოჩენილ აღმაშენებლებს: დ. წურწუმია, ა. ჯიქია, ა. გაბელია, თ. თოდუა, და სხვები, რომლებიც ნაყოფიერად შრომობენ თავიანთ ობიექტებზე. საამქრო ძირითადად მარაგდება ქ. ბრატსკის ხე-ტყის დამამუშავებელი კომბინატიდან მოწოდებული დახერხილი მასალით. ძირითადი და დამხმარე მასალების მომარაგებაც სტაბილურია.

ამჟამად მშენებლების წინაშე კომპიუტერული სისტემის დანერგვის პრობლემა დგას, რაც ერთიორად გაზრდის შრომისნაყოფიერებას.

ჯ. ფახუაშვილი

არდადეგები, არდადეგები...

## ეცნობიან, მეგობრდებიან

არდადეგების დაწყება ყველა ბავშვს უხარია. ამ მხრივ გამონაკლისი არც დავით აღმაშენებლის ქუჩაზე მცხოვრები მოსწავლეებია. ბავშვები მჭიდრო კონტაქტებს ამყარებენ ერთმანეთთან, უკეთ ეცნობიან ურთიერთს, მეგობრობენ, საკუთარი ძალებით აწყობენ კონცერტებს, ვიქტორინებს, კითხვა-პასუხის საღამოებს. საღამოობით ისმის პატარების ერთამული, სიმღერები, ლექსები, არც დავით აღმაშენებლის ეპოქას ივიწყებენ (ქუჩა ხომ მის სახელს ატარებს).

განსაკუთრებით აქტიურობენ გოგა და თეა თოდუები, რეზიკო და მირიკა შეროზიები, ნოდარ შონია, თეა ქანთარია, ნატა სურგულაძე, ეკა, გიგა და იკა გულუები, ეკა ზარქუა, თეა მირგატია, რომლებსაც ხელმძღვანელობენ უფროსკლასელები ეკა ბატარიძე, ნინო სამუშია და თამრიკო სურგულაძე. ზოგიერთი მათგანი IV-ე საშუალო სკოლის, ზოგი თბილისის სკოლის მოსწავლეა. პატარები ხიამოვნებით უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ეცნობიან თანატოლთა სამყაროს. მათი სურვილია, გამოეხმაურონ სხვა ქუჩის მცხოვრებლებიც. იმედია, ვაცნობის მსურველები არ დააყოვნებენ.

ლ. ახალაია,
მე-10 საშუალო სკოლის მასწავლებელი.

ჩაი—90

## სეზონი ძალაში შედის

ყამინდობამ საგრძნობლად დააგვიანა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის დაწყება, რამაც გამოიწვია ძალების მობილიზება პირველი ვეგეტაციის ჩაის უსწრაფესად გადასალებად. ასეა თითქმის რაიონის ყველა საზოგადოებრივ მეურნეობაში, ასეა დღეს დარჩელის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, სადაც 177,7 ჰექტარზე იკრიფება ჩაის მწვანე ფოთოლი.

დღიური კრეფა აღემატება 20-25 ტონას.

## უშვებენ ხარისხიან პროდუქციას

ადგილმრეწველობის ზუგდიდის სარაიონთაშორისო საწარმოო გაერთიანების სამკერვალო საამქროში 60-ზე მეტი ქალია დასაქმებული. აქ უსაქმოდ ვერავის ნახავთ. ყველა თავის საქმეს ჩაჰკირკიტებს, ცდილობენ ნაწარმი ხარისხიანი შეკერილი გამოვიდეს.

როგორც საამქროს ხელმძღვანელმა ი. ფარცვანიამ გვითხრა, საამქროში ძირითადად ამზადებენ ჩითის, ფანელის ხალათებს, თეთრეულს, ფარდებს და სხვა.

საამქრომ გასულ თვეში 175 ათასი მანეთის საქონელი გამოუშვა. მონდომებით მუშაობენ მიმდინარე თვესაც.

ხარისხიან პროდუქციას უშვებენ მკერავები: მედეა აბრალავა, ლამარა ანთია, შურა ქარაია, თეზიკო ჰაჟანძე, ლიანა ქობალია, ნაირა ქირია და სხვები.

## მისი წვლილიცაა

ყრუთა საზოგადოების ზუგდიდის სასწავლო-საწარმოო წამოწყება ერთი იმ წარმოებათაგანია, სადაც საზოგადოების სრულფასოვანი წევრები ხდებიან სმენას მოკლებული ადამიანები.

ერთ-ერთი მათგანია ახალაბასთუმანში დაბადებული მარგო შეროზია, რომელიც ცხრა წელია მუშაობს სამკერვალო საამქროში. მას ერთ-ერთ მოწინავედ ასახელებენ კოლექტივში, თუმც მასთან საუბარი ჭირს, რადგან მას სპეციალური ყრუ-მუნჯთა სასწავლებელი არ დაუმთავრებია. ამავე საწარმოში შრომობს მისი მეუღლეც მირიანე აშორდია.

მეუღლეები ზრდიან ვაჟიშვილს, რომელიც ბუნებამ ყოველგვარი ნიჭით დააჯილდოვა. ირაკლი მე 4 კლასში სწავლობს, მოწინავე მოსწავლეა.

სასწავლო-საწარმოო წამოწყების მკერავთა საამქრო ყოველთვიურ გეგმებს წარმატებით ასრულებს. ამ საქმეში მარგო შეროზიას უცვლელი წვლილიცაა.

## ურეკლამაციოდ

სეზონისათვის მზადების ცხარე დღეები გავიდა. კახათის ჩაის ფაბრიკამ (დირექტორი ო. პითანავა, მთავარი ტექნოლოგი ფ. ჯინჯოლავა), წელს უნდა მიიღოს და გადაამუშავოს 5.100 ტონა ჩაის ფოთოლი. პირველი ტონები მათ კახათის, ახალკახათის, კოკის, ახალაბასთუმნის კოლმეურნეობებიდან, ინგირისა და დიდინეძის მეურნეობებიდან მიიღეს 20 მაისს.

ფაბრიკის სადღეღამისო წარმადობა 80 ტონაა. იგი დღეისათვის მთლიანად დატვირთულია.

სიახლეებით შეეგებენ სეზონს ფაბრიკის მუშაკები. მოხდა საგრეხი საამქროს ავტომატიზაცია, მწყობრში ჩადგა გრანულირების საამქრო, რაც ძირითადი პირობაა როგორც პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა, ასევე, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა.

პროდუქცია მიეწოდება ჩაის ხაწონ ფაბრიკას. შრომის იჯარულმა ფორმამ განაპირობა შრომის დისციპლინის ამაღლება, პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობის უწუნოდ შესრულებისა და სხვა.

იზრუნეს მუშათა საცხოვრებელი პირობების ასამაღლებლად. გააჩნიათ კეთილმოწყობილი საცხოვრებლები, სასადილო, სადაც უფასოდ მუშათა ერთჯერადი კვება. იცავენ სანიტარულ-ჰიგიენურ წესებს.

ფაბრიკის მიერ მიწოდებულ პროდუქციაზე ჩაის საწონი ფაბრიკიდან არ მიუღიათ რეკლამაცია.

მიმდინარეობს ტერიტორიის მოასფალტების სამუშაოები.



სურათზე: მარცხნიდან—ფაბრიკის დირექტორი ომეხი პითანავა, აგრონომი გოგი ფიჩხაია. ლაბორანტი ნაირა სიჭინავა, ლაბორატორიის გამგე მზევინარი გაბელია, ჩამბარებელი ახალკახათის კომპლექსურ-მექანიზირებული რგოლის ხელმძღვანელი ვალიკო ფიფია.

ფოტო აკ. ყუფუნიასი.

## მოდის აბრეშუმის პარკი

მიმდინარე წელს რაიონში გეგმით უნდა დამზადდეს 441 ცენტნერი აბრეშუმის პარკი, გეგმა-ვალდებულებით კი 443 ცენტნერი. რაიონის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით დროულად იქნა შემოტანილი გრენა და გამოსული ჭიები გაცემულ იქნა მეაბრეშუმეებზე, რომლებმაც მაღალ აგროტექნიკურ დონეზე გამოკვებეს ჭია და უკვე დაიწყეს პარკის პირველი მოსავლის ჩაბარება.

თავი ისახელეს მეაბრეშუმეებმა ორსანტიიდან—ლამარა ჭიჭიკოს ასულმა ქვარაიამ, რომელმაც მიმღებ პუნქტს ჩააბარა 73,5 კილოგრამი მაღალხარისხოვანი აბრეშუმის პარკი, ეთერ ლეონტის ასულმა აბსანძემ ასევე ამდენი რაოდენობის მოსავალი ჩააბარა, ხოლო ლეილა მამიას ასულმა ქვარაიამ 136,4, ლამარა მირიანეს ასულმა ქვარაიამ კი 89 კილოგრამი. თანამოსაქმეებს არ ჩამორჩა რუხელი გული ჯოდოს ასული ფარცვანია, რომელმაც მოიწია 104,4 კილოგრამი პარკი.

ნისაბაძია მათი შრომა. აბრეშუმის პარკის დამზადება გრძელდება.

თ. შელია,
რაიაბრეშუმის პირველი კატეგორიის აგრონომი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქტივობის მოტივი: ინიციატივა —სიახლე— უკუგება!

# ვისწავლოთ ეკონომიკის მართვა

სახალხო მეურნეობის ძველი სტერეოტიპების მსხვრევის, ეკონომიკის რადიკალიზაციის, მართვის ახალი დემოკრატიული სტრუქტურების დამკვიდრების ამ რთულსა და მტკივნეულ ეტაპზე კვლავაც უპირველეს ამოცანად რჩება პროდუქციის მატების მიღწევა შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით.

რესპუბლიკის ეკონომიკის დამოუკიდებლად მართვის სხვადასხვა ალტერნატიულ კონცეფციებში მყარად არის ჩაზგანმული ერთი უდაო მოთხოვნა: ყველა დონეზე უნდა შევძლოთ ეკონომიკის ინტენსიფიკაციის კურსის გატარება, რაც ცალკეული დარგების სპეციალიზაციისა და მეურნეობათა რაციონალური გაძღოლის სისტემის სრულყოფას გულისხმობს.

დღეს, რესპუბლიკაში სამეურნეო მექანიზმების დემოკრატიზაციის პირობებში კიდევ უფრო აქტიურად ჟღერს პრინციპი, რომ შრომით კოლექტივებში შეიქმნას ზეგეგმითი მომჭირნეობის ფონდები, რომლებიც წარმოების თავისუფალი განვითარების გარანტიად აღიქმება. არცერთი სხვა დარგის წარმომადგენლის სახე და ავტორიტეტი ისე მკაფიოდ არ გამოიკვეთება ამ პროცესების მართვაში, როგორც სააღრიცხვო დარგის მუშაკისა. ერთი მხრივ საჭიროა ფლობდე დაგეგმვის უცდომელ უნარს, რათა თავიდან აიცდინო სახსრების არადანიშნულებით და არასწორად დაბანდების რეციდივები. მეორე მხრივ უნდა შეგეძლოს დაგეგმილი სამუშაოების ხორცშესხმის ყველაზე რაციონალური გზებისა და ბერკეტების მომარჯვება. ამ მხრივ მოსაწონ ალღოს იჩენენ № 1 ჩაის ფაბრიკის, ინგირის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატის, ზუგდიდისა და დარჩელის მეურნეობების, ჩაის კომბინატის, ფაიფურის ქარხნის, ჩაის საწონი ფაბრიკის, ნარაზენის, ახალკახათის, ინგირის, ახალსოფლის, კახათის კოლმეურნეობების და სხვა ორგანიზაციების სააღრიცხვო დარგის წარმომადგენლები. რაც მთავარია, აქ მოახერხეს მეურნეობრიობის სისტემის რადიკალურად განახლება, იჯარის გაბედულად შემოღება. ამასთან დანერგეს ისეთი ნორმატივები და კოეფიციენტები, რომლითაც სტიმულირდება ბეჯითი შრომა, მკაცრ კონტროლს ექვემდებარება ყოველი დაბანდებული მანეთის უკუგება.

ახლა ხაგანვებთ ყურადღებას ითხოვს დაბალრენტაბელური და ზარალიანი მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ეკონომიკის განმტკიცება. სწორედ ამაში უნდა გამოვლინდეს ადგილობრივ სამეურნეო ხელმძღვანელთა, თუ ფინანსისტ-ეკონომისტთა შემოქმედებითი აზროვნება. საჭიროა გაბედულად დავნერგოთ ახალი, ოპტიმალური სტრუქტურები რომლითაც მშრომელთა მეტ დაინტერესებას მივაღწევთ. არ არის დასაყოვნებელი ეს საქმე მით უფრო, როცა რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების ბოლოდროინდელი არასტანდარტული რეკომენდაციები ამ მხრივ ხელ-ფეხს უხსნიან ახლის მაძიებელ მუშაკებს.

მდიდრდებიან არა შემოსავლით, არამედ გონივრული ხარჯვით.—ეს ძველი ანდაზა როცა გახსოვს კაცს, შეეცდები მეტი ყაირათიანობა გამოავლინო ყველგან და ყველაფერში. სწორედ ეს გრძნობა გვღალატობს მეტწილად. აბა წარმოიდგინოთ რამდენი მეორეული ნედლეული გვეკარგება ჩვენს ირგვლივ. გვეკარგება იმის გამო, რომ მოქალაქეთა ერთი ნაწილის შეგნებაში ასეთი ჩამოყალიბდა მერეში მენაღვლეობას პრინციპი, ასეთი დამოკიდებულება კარგს არაფერს მოგვიტანს.

ყველგან, ყველა დონეზე უნდა ვძლევდეთ ისეთ დოგმებსა და კონსტრუქციებს, რომლებითაც ძალზე სერიოზულად ფერხდება საფინანსო დისციპლინისა და სამეურნეო ურთიერთობის სისტემის ფუნქციონირება. ამ მხრივ გარკვეულ შედეგებს მოველით ქალაქის სახალხო მეურნეობის ტერიტორიული მართვის ზუგდიდური მოდელისაგან. ეს უქმნის ქალაქის ხელმძღვანელობას პირობას მნიშვნელოვნად გაზარდოს ბიუჯეტი სხვადასხვა საწარმოებიდან მოგების თავისუფალი ნაშთების ჩარიცხვის ხარჯზე. ასეთი თავისუფალი მანევრირება ხელს შეუწყობს ბიუჯეტის როგორც შემოსავლის, ისე გასავლის ნაწილის ფორმირებას.

ეკონომიკის რადიკალიზაციის რთულ და საინტერესო გზაზე ჩვენი გაზეთი კვლავაც საიმედოდ მხარში ამოუდგება შრომით კოლექტივებს, თუ ცალკეულ მოიჯარეებს. კვლავაც აქტიურად დავნერგავთ თემატურ რუბრიკებს: „ექსპერიმენტის წყარო—ანალიტიკური აზროვნება", „ძიება-ექსპერიმენტი—შედეგი", „ფართო გზა შიდასამეურნეო ანგარიშს" და ა. შ.

აღნიშნული თემების გახსნისას აქცენტს გადავიტანთ არა იმდენად საფინანსო—საბიუჯეტო ტექნოლოგიის სკრუპულოზურ ჩვენებაზე, არამედ განვეწყობით ამ პროცესებში ჩართული შემოქმედი მუშაკის, სპეციალისტის სახის, ბედის, დამოკიდებულების წარმოსაჩენად. ვაჩვენებთ ადამიანს, რომელიც ცნობილი მწერლის რეზო ჭეიშვილის ერთი უცნაური გმირივით ბრმად კი არ ემონება ციფრებს, არამედ თავად მართავს მათ, მტკიცედ ფლობს საფინანსო-ეკონომიკურ ვითარებას.

როგორია თქვენი აზრი?

# ქალაქი, სადაც ფეხი აიდგი

„მშობლიური ქალაქი შენი სიამაყეა, იზრუნე მისი კეთილდღეობისათვის". ბევრგან ნახავთ ქართულ, რუსულ და სხვა ენებზე ლამაზ ხატოვან ასოებში გამოყვანილ ასეთ წარწერებს ნებისმიერი ქალაქის შემოსასვლელში.

თუ შენი ქალაქის ნამდვილი პატრიოტი ხარ უნდა გიყვარდეს ის ადგილი, სადაც ფეხი აიდგი და სისხლხორცეულად ხარ დაკავშირებული. მაგრამ ეს, სიყვარული მაღალფარდოვანი სიტყვებით და სადღეგრძელოებით კი არა, საქმით უნდა განამტკიცოთ. პატრიოტობას ვერ დავწამებთ იმას, ვინც ავტობუსებისა და ტროლეიბუსების სავარძლებს დანით სერავს, ვინც საკუთარი ეზოდან და საწარმოდან გატანილ ნაგავს მდინარეების პირას ყრის, ვინც თავისი უღირსი მოქმედებით ლაფში სვრის მშობლიური ქალაქის სახელს.

გაზეთ „ოდიშის" რედაქცია ზუგდიდელ მოქალაქეებს სთავაზობს წინადადებას, შეიქმნას საქველმოქმედო საზოგადოება „ზუგდიდელი", რომელსაც უხელმძღვანელებს ქალაქის ჭეშმარიტი პატრიოტი და კომპეტენტური პიროვნება. გაზეთი კი შემოიღებს რუბრიკას „მშობლიური ქალაქი ჩემი სიყვარული". ამ რუბრიკით გაზეთში სისტემატიურად დაიბეჭდება მასალები ვინ რა წვლილი შეიტანა ქალაქის ზრდა განვითარებაში, აქ მცხოვრები ადამიანის ესთეტიკურ ჩამოყალიბებაში. ვინ რა დახმარება გაუწია ქალაქს ფინანსურად, საქმიანი წინადადებებით და სხვა. ყოველივე ეს საქმის დიდი ნაწილია და მას საშვილიშვილო მნიშვნელობა ექნება.

რამდენი კარგი საქმის გაკეთება შეუძლიათ რესპუბლიკის ქალაქებში და რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ზუგდიდელებს თავისი მშობლიური ქალაქის საკეთილდღეოდ. არც ერთი მათგანი არ დაიშურებს მონდომებას, ძალასა და ენერგიას იმ სკოლის სასარგებლოდ, სადაც ფეხი აიდგა და სწავლა-განათლება მიიღო. სკოლის ბიბლიოთეკას თითოეული ცალი წიგნი რომ შესძინოს, კაბინეტ ლაბორატორიების აღჭურვილობის შეძენაში დაეხმაროს და რამდენიმე ძირი ხე დარგოს სკოლის ეზოში, ეს ნამდვილად დიდი წვლილი იქნება.

ვფიქრობთ, ამ წამოწყებას ყველა ჭეშმარიტი ზუგდიდელი დროზე გამოგვეხმაურება.

**გაზეთ „ოდიშის" რედაქცია.**

# ქართული კინოს ახალი მოდელი

თბილისში გაკეთდა ერთ-ერთი ქართული კინოლენტის თენგიზ აბულაძის „ვედრების" პირველი ახალი მასობრივი ტირაჟირებისათვის. ეს შესაძლებელი გახდა კინოსტუდია „ქართული ფილმის" კინოსაწარმოსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კინოასოციაციის ერთობლივი ძალისხმევით. დადებულია აგრეთვე პირდაპირი ხელშეკრულება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისათვის მსოფლიო ბაზარზე ქართული ფილმების გაქირავების უფლების მინიჭების შესახებ. საქართველოს სტუდიის წარმომადგენლობა გაიხსნა ქალაქ ზაარბრიუკენში.

ეს ერთ-ერთი პირველი შედეგია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებისა „საბჭოთა კინემატოგრაფიაში შემოქმედებითი, ორგანიზაციული და ეკონომიკური საქმიანობის გარდაქმნის შესახებ", —ამბობს კინოსტუდია „ქართული ფილმის" დირექტორი რეზო ჩხეიძე. „ქართული ფილმის" ერთობლივი საწარმო „ელექტრონიკ პლიუს ინჟინირინგი" შეიქმნა ლიხტენშტეინში. ასეთ საწარმოთა შექმნის შესახებ მიმდინარეობს მოლაპარაკება ბელგიასთან, იტალიასთან, კანადასთან, ესპანეთთან, საფრანგეთთან, ჩინეთთან. ეს საშუალებას მოგვცემს ვიქონიოთ საკუთარი სავალუტო ბაზა ქართული კინოს შემდგომი განვითარებისათვის, რომელსაც დღეს 59-60-იანი წლების დონის ტექნიკური ბაზა აქვს.

გათვალისწინებულია ქართული ლენტების ფილმოფონდის მშენებლობა, რომლებიც ახლა მოსკოვში ინახება. სხვათა შორის, დუმილით უვლის რა გვერდს მთავრობის დადგენილების პუნქტს საბჭოთა კინოს ახალი მოდელის შესახებ, სახკინო ჯერ კიდევ სადავოდ ხდის რესპუბლიკების უფლებას საკუთარი ფილმები გააქირაონ საზღვარგარეთ. მაგრამ თუნდაც ის, რაც გაკეთდა, ცოტა როდია. დაიწყო სტუდიის აღჭურვა ახალი ტექნიკით. ეს პროცესი ნელა, მაგრამ ურყევად მიმდინარეობს.

თავიანთ ახალ ფილმებს კინორეჟისორები თენგიზ აბულაძე და ელდარ შენგელაია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტექნიკურ ბაზაზე იღებენ. რეჟისორი მიხეილ ჭიაურელი ბრაზილიისა და იტალიის კინოფირმებთან ერთად იღებს ფილმს სსრ კავშირის სახტელერადიოს დაკვეთით „ფეხბურთი, ფეხბურთი". ჩინელ კინემატოგრაფისტებთან ერთად იქმნება ახალი მხატვრული ფილმი საქართველოში ჩაის კულტურის განვითარების შესახებ. გრძელდება თანამშრომლობა ესპანელ კინომოღვაწეებთან—„დონ კიხოტისა და სანჩოს ცხოვრების" შემდეგ შევუდექით მუშაობას ახალ მხატვრულ-დოკუმენტურ ფილმზე სამეცნიერო სამყაროში ფართოდ გავრცელებულ ჰიპოთეზასთან დაკავშირებით—ბასკებისა და ქართველების გენეტიკური ნათესაობის შესახებ. (საქინფორმი).

წარმოება და ეკოლოგია

# ნალექების გაუწყლოებისათვის

წარმოების გამონაბოლქვი მავნე აირების შემცირება ჩვენი სადღეისო ამოცანაა, რომელიც საბოლოო ჯამში ნიშნავს ბუნების დაცვის სამსახურის გაძლიერებას.

ამჟამად ზემდგომი ორგანოების მიერ მუშავდება კანონი, რომელიც ითვალისწინებს წარმოება-დაწესებულებისათვის სპეციალურ გადასახადს გარემოს გაჭუჭყიანებისათვის. აღნიშნული გადასახადი მოხმარების ნორმების დაცვითი ღონისძიებების განხორციელებას, რისთვისაც შემოღებულ იქნება ეკოლოგიური პასპორტები. ამა თუ იმ საწარმოს ზეგავლენის აღნიშვნით წყალზე, ჰაერზე, ნიადაგზე ამით შესაძლებლობა მოგვეცემა სრულად შევაფასოთ ბუნების დაცვის ღონისძიებების მიზანშეწონილობა, კერძოდ ჩამდინარე წყლების გაწმენდის ინტენსიფიკაცია, რაც იწვევს საექსპლოატაციო და ზოგჯერ კაპიტალური, ელექტროენერგიის ხარჯების გადიდებას. ეკოლოგიური პასპორტი შესაძლებლობას მოგვცემს გავიანგარიშოთ ერთეულ პროდუქციაზე კუთრი გამონაბოლქვი, დავსახოთ ღონისძიებათა გეგმა და განვსაზღვროთ მათი პრიორიტეტულობა.

საწარმოო გაერთიანება „საქქაღალდმრეწვის" ამჟამად მოქმედი ნაგებობის გაწმენდილ წყლებში მავნე კომპონენტთა შემცველობა ზღვრულად დასაშვები ნორმის ფარგლებშია, მაგრამ პრობლემები მაინც გვრჩება პირველადი სალექარებიდან ნალექების გადატუმბვა, შენახვა და უტილიზაცია. გამწმენდი წარმოების პროექტში გათვალისწინებული იყო გაწმენდის შედეგად მიღებული ნალექების გატუმბვა ტერიტორიულ „კარტებში", რაც ვერ განხორციელდა სრულად, ამან გამოიწვია ნალექების გამოყოფა და წყალსატევის გაჭუჭყიანება.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს საპროექტო ინსტიტუტისა და „საქქაღალდმრეწვის" სამშენებლო სამმართველოს ერთობლივი გადაწყვეტილებით თითქმის ხუთი წელია შენდება ნალექების გაუწყლოების საამქრო, რომელიც სხვადასხვა მიზეზით ჭიანურდება. მისი დროულად მწყობრში შესვლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება იქნება გარემოს გაჭუჭყიანების თავიდან ასაცილებლად.

ა. ფაჩუაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკ. წერეთლის დაბადების 150 წლისთავისათვის

# მეგობრობა მეუნარგიასთან

აკაკი იცნობდა არათუ სახელმოხვეჭილ იონა მეუნარგიას, არამედ სამეგრელოში მოღვაწე იმ ლიტერატურის მოყვარულებს, რომლებსაც თითო-ოროლა ლექსი და ფელეტონი ჰქონდათ გამოქვეყნებული პრესაში.

დიახ, იონა მეუნარგიას ახლოს იცნობდა აკაკი, მაგრამ ჯერ კიდევ არ შეეძლო მას ეთქვა საკუთარი თავისთვის, ეს კაცი ჩემი სულიერი მეგობარიაო.

ჯერ კიდევ ბევრი უხილავი ძაფი იყო მათ გულებს შორის გასაჭირში რომ ერთმანეთი შეეცნოთ, შეცნობას კი დრო სჭირდებოდა, დრო და შემთხვევა.

რაც უფრო მეტი შეხვედრები ჰქონდათ, რაც უფრო საქმიან საუბარს წამოიწყებდნენ, მით უფრო ეცნობოდნენ ერთმანეთის სულიერ სამყაროს ეს დიდებული ადამიანები.

რუსთაველის „ვეფხისტყაოსანზე" საუბრობდნენ ძირითადად მერმე ფრანგულ, რუსულ, გერმანულ ლიტერატურას გადასწვდებოდნენ და ეს ახარებდა მათ სულს.

როგორც ცნობილია, ერთიცა და მეორეც რუსთაველის პოემაზე მუშაობდნენ, ამიტომ მათ შეხედულების წერტილები ერთი ჰქონდათ.

ამან უფრო ახლოს მიიყვანა ისინი ერთმანეთთან, მაგრამ სულ სხვა იყო დავით ერისთავის სიკვდილი.

მწარედ განიცადა ქართველმა საზოგადოებამ ჩინებული დრამატურგის გარდაცვალება. აკაკიმ და იონამ სხვებზე მეტი ცრემლი დაღვარეს მეგობრის ცხედართან.

მიცვალებულის დაკრძალვის დღეს სიტყვით გამოვიდნენ ორივენი და სამგლოვიარო მიტინგის შესაფერისი წინადადებებით გამოხატეს არამარტო თავიანთი ტკივილი, არამედ მთელი ქართველი ერის მწუხარება.

აკაკიმ საფლავის ქვის ეპიტაფიაც დაწერა იმ დღეებში და გადასცა დავით ერისთავის ახლობლებს. დავითის დაკრძალვას მოჰყვა ქართული დასის მიერ აკაკის „პატარა კახის" დადგმა, რომელსაც იონა მეუნარგია ესწრებოდა არა როგორც რიგითი მაყურებელი, არამედ როგორც უახლოესი მეგობრის ნაწარმოების კრიტიკული თვალით შემყურე.

1891 წელს აკაკი იწყებს დიდი ქართველი მოღვაწის სულხან-საბა ორბელიანის იგავების გალექსვასა და პუბლიკაციას.

## წერილი მესამე

იონამ მაისის ბოლოს პეტერბურგს გააცილა უფროსი მეგობარი და ცოტა არ იყოს, მოიწყინა კიდეც. მალე მან „ივერია" გადაშალა და ნახა, რომ აკაკი პეტერბურგის ქართველობასთან ერთად მონაწილეობას ღებულობს და სიტყვითაც გამოდის პროფესორ დავით ჩუბინაშვილის დაკრძალვაზე.

ცოტა მოგვიანებით იონა ისევ „ივერიის" საშუალებით გაიგებს, რომ აკაკი დაუახლოვდა პეტერბურგელ მწერლებს, განსაკუთრებით ვ. ველიჩკოს, რომელიც თარგმნის თურმე აკაკის „თამარ ცბიერს".

„ივერია" წერდა, რომ „თამარ ცბიერი" ვერძო სალიტერატურო საღამოზე წაიკითხეს და ყველანი აღტაცებაში მოვიდნენ. ბოლოს ჟურნალმა „სევერნი ვესტნიკმა" შეისყიდა უფლება ნათარგმნის დაბეჭდვისა და ამ ახლო ხანებში დაბეჭდავს კიდეც".

ამ ინფორმაციამ დიდი სიხარული მოუტანა იონა მეუნარგიას. 1892 წლის დამდეგს აკაკი ბრუნდება საქართველოში, მაგრამ ჯერჯერობით სამეგრელოსათვის ვერ იცლის გადაუდებელი საქმეების გამო.

რა არის ეს გადაუდებელი საქმეები.

გამომცემლობა ამზადებს მგოსნის თხზულებათა პირველ ტომს. იქნებ ზოგიერთ ხელთნაწერში გამოთქმული აზრი ჩასასწორებელია, გადასაფასებელია, გარდა ამისა, რუსეთიდან დაბრუნებულმა პოეტმა ჩამოიტანა ბევრი სიახლე, რომელიც ქაღალდზეა გადასატანი. ამ პერიოდს ეკუთვნის მისი ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი „განთიადი".

აკაკი მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწევა. მან გადმოაქართულა „თამარ ცბიერის" მთარგმნელის ვ. ველიჩკოს ნაწარმოები და სათაურად „გორის ციხე" მისცა. ლევან ასათიანის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ეს ლეგენდა აკაკიმ მაღალ პოეტურ ხარისხში აიყვანა და მისცა მას ორიგინალური ქართული ჟღერა".

კიდევ რით არის პოეტი დაკავებული ამ პერიოდში?

აკაკი მხარში უდგას თავის სულიერ ძმებს — გიორგი წერეთელსა და ივანე მაჩაბელს ყოველკვირეული სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთის „კვალის" დაარსებაში.

1893 წლის 3 იანვარს გამოდის გაზეთ „კვალის" პირველი ნომერი. მას ხელს აწერს ან. თ. წერეთლისა.

ვინ არის ეს?

ის გახლავთ ჟურნალ „ჯეჯილის" რედაქტორი ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა, გიორგი წერეთლის მეუღლე.

აქაც გვინდა ლევან ასათიანს მივმართოთ: „კვალის" დამაარსებელი და ფაქტიური რედაქტორები იყვნენ გიორგი წერეთელი, აკაკი და ვანო მაჩაბელი.

ა. თუმანიშვილი იმიტომ აწერდა გაზეთს ხელს, რომ იგი, ე. ი. „კვალი" ცენზურის თვალის ასახვევად გაფორმებული იყო, როგორც ჟურნალ „ჯეჯილის" სურათებიანი დამატება.

გაზეთმა „კვალმა", რომელმაც ბევრი კარგი საქმე გააკეთა საქართველოში განათლების გავრცელებისათვის, 1904 წლის მეხუთე ნომრით შეწყვიტა არსებობა, ვინაიდან მას ინიციატორობის საშუალება წაართვა ახალმა გაზეთმა „ბრძოლამ".

„კვალის" დაარსებამ კიდევ უფრო დაახლოვა ერთმანეთთან აკაკი და იონა, აკაკის რჩევით ამ გაზეთში იბეჭდებოდა მეუნარგიას მრავალმხრივი, საინტერესო ნაწერები.

მეუნარგია იყო „ვეფხისტყაოსნის" 1888 წლის გამოცემის ერთ-ერთი ინიციატორი და კომისიის მდივანი, წლების მანძილზე აქვეყნებდა კომისიის ვრცელ ოქმებს, რითაც ძვირფასი მასალა შემოუნახა რუსთველოლოგიას. მას ეკუთვნის „ვეფხისტყაოსნის" პირველი სრული თარგმანი ფრანგულ ენაზე, რომელიც ამჟამად დაკარგულად ითვლება და პოემის მოკლე შინაარსის რუსული თარგმანი.

განსაკუთრებულია მეუნარგიას ღვაწლი მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლაში. მან დაამკვიდრა ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში ახალი, ეგრეთწოდებული ბიოგრაფიული ჟანრი, რომლის მიზანი, მეუნარგიას სიტყვით, ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერაა". მისი ლიტერატურულ-კრიტიკული ნაწარმოები, რომლებიც უტყუარი წყაროა იმდროინდელი კულტურულ-ისტორიული ატმოსფეროს შესწავლისათვის, გამოირჩევა თხრობის ფაქიზი სტილით და მასალის სიუხვით.

ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის ერთ-ერთი თანამებრძოლი, იგი თვითმხილველი და მონაწილეა მე-19 საუკუნის დიდი კულტურულ-ისტორიული მოვლენისა (ქსე, ტ. 6, გვ. 621).

ასეთი ავტორიტეტი გახლდათ 12 წლით აკაკიზე უმცროსი იონა მეუნარგია, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება აკაკი წერეთლისა და მისი პერიოდის სხვა ქართველ მოღვაწეებთან გაატარა.

იპოლიტე გამსახურიდა.

ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია

# სპორტის ეროვნულ სახეობებს—მეტი ყურადღება

ძველი ქართული ეროვნული თამაშების განვითარებაში დიდი როლი შეასრულა ჩვენი ერის ისეთმა თვისებებმა, როგორიცაა: სტუმართმოყვარეობა, ძმადნაფიცობა, ტემპერამენტი, ემოციურობა.

ეროვნული თამაშების აღმნუსხველ ფოლკლორში ნათლად არის ასახული ქართველი ხალხის შრომისმოყვარეობა, აღზრდის სამხედრო-გამოყენებითი მიმართულება და ყოფითი თავისებურებები.

ძველი ქართული სპორტის სახეობებიდან, ფიზკულტურული ვარჯიშებიდან თუ თამაშობებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ლელო, ისინდი, ყაბახი, თარჩია, ქართული ჭიდაობა, ჭოკით სიგრძეზე ხტომა, ფარიკაობა, ცხენბურთი, სიმძიმეების აწევა, ლელობურთი და სხვა მრავალი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჩვენი რაიონისა და ქალაქის თავკაცები და სპორტის მესვეურები არასათანადო ყურადღებით ეკიდებიან ხალხური თამაშების აღდგენა-განვითარებას, რითაც იგი გაქრობის პირამდეა მისული.

თუ ათიოდე წლის წინ რაიონულ შეჯიბრებებში ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში, ლელობურთში, სიმძიმეების აწევაში, ქართულ ჭიდაობაში სოფლის ათობით გუნდები გამოდიოდნენ სასპარეზოდ და ათასობით მაყურებელი ნასიამოვნები რჩებოდა, დღეს თითო გუნდის შეკოწიწება ვერ ხერხდება, საქართველოს სპარტაკიადაზე რაიონის ღირსების დასაცავად.

საქართველოს სპორტის მესვეურებმა მაისის თვის სპორტულ კალენდარში განსაზღვრეს, რომ 20-30 მაისს ჩატარებულიყო სპორტული ეროვნული სახეობებისა და ხალხური თამაშების რესპუბლიკური დეკადა, რაიონის სპორტის ხელმძღვანელებმაც მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება, ჩატარებულიყო პირველობა ლელობურთში სოფლის ფიზკულტურის გუნდების მონაწილეობით, ინსტრუქტაჟისათვის მოწვეული იყვნენ ფიზკულტურის ინსტრუქტორები, მიეცათ განმარტება, დაინიშნა დრო და შეჯიბრების ადგილიც. ასევე ეცნობათ სოფლის თავკაცებს ღონისძიების შესახებ, მაგრამ მხოლოდ ერთადერთი ცაიშის გუნდი გამოცხადდა. შეჯიბრება ჩაიშალა, შედეგად რაიონმა ვერ მიიღო მონაწილეობა ჩოხატაურში ჩატარებულ საქართველოს სახალხო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ შეჯიბრებაში ლელობურთში და დაიკარგა ძვირფასი ქულები.

რამ გამოიწვია ჩვენი წინაპრების მიერ შექმნილი სპორტის სახეობების ასე დაქვეითება? აქ ორი აზრი არ არსებობს—უპირველესად სოფლის ხელმძღვანელთა დაუდევრობამ, იმან, რომ არავინაა გამკითხავი, რაც ძალზე სავალალო და დასანანია.

როდის აღმოიფხვრება ასეთი გულგრილი დამოკიდებულება ეროვნული სპორტის მიმართ, როდის დადგება დღის წესრიგში სოფლის მშრომელების ფიზიკური გაჯანსაღების საკითხი?

ჯოტი ჭედია,
საქართველოს სპორტის ოსტატი.

# სოციალური სფერო — მთავარი საზრუნავი

ჯიხაშკარი, ეს ტიპიური ძველთაძველი სოფელი ინარჩუნებს თავისთავადობას. გვირგვინად წამომდგარი ჯიხა, სოფლის სიმბოლოდ ქცეულა.

არც ისე პატარა სოფელია ჯიხაშკარი. აქ მოჰყავთ ჩაი, აქვთ საკმაოდ ღონიერი მეცხოველეობა.

სოფელს ჰყავს თავისი მეცნიერების კანდიდატები, ასზე მეტი უმაღლესი განათლების მქონე ადგილობრივი სპეციალისტები. ერთმანეთის თანადგომა, სოფლის ღირსებისათვის ზრუნვა ტრადიციად მოდგამს ამ სოფელს. სულ ახლო წარსულში კოლმეურნეობის გამგეობა და სასოფლო საბჭოს აღმასკომი მოთავსებული იყო ხის ფიცრულ სახლში. შემდგომ აშენდა სასოფლო საბჭოს აღმასკომისათვის კაპიტალური ნაგებობა, კოლმეურნეობის კანტორა, საყოფაცხოვრებო და სავაჭრო მომსახურების ობიექტები. ბედი სწყალობს სოფლის საექიმო ამბულატორიას, ჯერ იყო და მშრომელთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე წლების მანძილზე ღირსეულად იდგა ცირა ხუბულავა, შემდეგ კი ახალგაზრდა ექიმი დათო ჯალაღონია შეენაცვალა. იგი აქვე დასახლდა და აქვე მოღვაწეობს.

სოფელში სამი საბავშვო ბაღია. კოლმეურნეობის ორ ბაღში უფასო კვებაა, მათვე მიეწოდებათ რძე და სხვა პროდუქტები.

## ახლა ასეთი დროა

მიმდინარეობს რიგი ობიექტების მშენებლობაც, მაგრამ სატკივარს რა გამოლევს სოფელში. პრობლემად რჩება სოფლის გზების მოხრეშვის, წესრიგში მოყვანის საკითხი, რასაც ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ გზათა მშენებლებმა. სოფლის სარკე გზაა, იტყვიან ხოლმე, მაგრამ სწორედ უგზოობას უჩივიან ჯიხაშკარელები.

სოფლის მშრომელებმა, ძირითადად სოფლის ახალგაზრდობამ ითავა ჯიხას სარესტავრაციო სამუშაოები, მაგრამ მათ რომ მეტი თანადგომა და დახმარება სჭირდებათ ეს ფაქტია.

სოფელს ადამიანები ამშვენებენ. უფროსი თაობის გამოცდილება გადადის მომავალ თაობებში. ბევრი, ძალიან ბევრი გაუკეთებია სოფლის საკეთილდღეოდ სასოფლო საბჭოს აღმასკომის უფროს თავმჯდომარეს მარუსია შენველის.

მე შევესწარი ქალბატონ მარუსიას მაშინ, როდესაც სასოფლო საბჭოს აღმასკომის შენობა შენდებოდა. დიდ ხეს ამოფარებული ზელდა ბეტონს მშენებლებთან ერთად. ისიც მახსოვს, საექიმო ამბულატორიაში მოყვანილ პაციენტს [illegible] დედასავით დასტრიალებდა თავს და [illegible] ახალგაზრდებს [illegible] საკუთარი ავტომანქანით სწრაფად გადაიყვანა რაიონულ საავადმყოფოში.

სასოფლო საბჭოს აღმასკომის არაერთ ინიციატივას ეუმღერება სოფელი, დღეს კი ახალი თაობა აშენებს ახალ მომავალს.

მარუსია პენსიაზეა. გულით მხნე და ენერგიული ნატრობს წლების დაბრუნებას, რაზეც თუ კითხავთ გიპასუხებთ: ახლა ისეთი დროა, ვისაც გული უცემს მკერდში, ეროვნული სატკივარის უნდა მოახმაროს ძალა და ენერგიაო.

მართლაც რომ იცვლება წლები, ყოფიერება. ახალგაზრდობა კი იყო და რჩება ქვეყნის იმედად.

ბ. აბულაძე.

სტრიქონები წერილებიდან

# სასწავლო ექსკურსია

ინგირის №2 საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის მოეწყო სასწავლო ექსკურსია ქ. ქუთაისში. მოსწავლეებმა დაათვალიერეს ქუთაისის ავტოქარხანა, გელათის სამონასტრო კომპლექსი.

მოსწავლეები დაინტერესდნენ ავტომობილის წარმოების ტექნოლოგიით, გაეცნენ სპეციალისტ-მეავტომობილეებს, ნახეს „კაზის" გამოშვების მთელი ციკლი. ექსკურსიამძღოლი, ავტოქარხნის ხარისხის ინჟინერი ოთარ ცეცხლაძე საინტერესოდ ესაუბრა მოსწავლეებს ავტოქარხნის ისტორიაზე, მის დღევანდელ და სამომავლო ამოცანებზე.

კეთილსინდისიერად მოგვემსახურა ქალაქის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მძღოლი [illegible].

შ. გაბისონია,
ინგირის №2 საშუალო სკოლის პროფკომის თავმჯდომარე.

სასამართლო დარბაზიდან

# „ნოვინკამ" არ გაამართლა

ქალაქ ზუგდიდის ერისთავის ქუჩის №43-ში მცხოვრები ნელი აბრამის ასული წურწუმია მხილებულ იქნა სპეკულაციის ფაქტზე. მან ქალაქ სოჭში ყოფნის დროს გადაყიდვისა და გამორჩენის მიზნით შეიძინა 48 ქილა ფხვნილისებრი სასმელი „ნოვინკა", (ლიტვური წარმოების), ერთი ქილა 3 მანეთად ღირებული, რაც ჩამოიტანა ქალაქ ზუგდიდში და საკოლმეურნეო ბაზარში 10 ქილა 60 მანეთად მიჰყიდა მოქალაქეს. ესე იგი მან მიიღო გამორჩენა 30 მანეთი. დანარჩენი 38 ქილა „ნოვინკას" რეალიზაცია ვერ შესძლო მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო— სპეკულანტი მილიციის მუშაკებმა ამხილეს.

ახლახან ქალაქ ზუგდიდის სახალხო სასამართლომ და შეროზიის თავმჯდომარეობით განიხილა აღნიშნული საქმე და ნ. წურწუმიას სასჯელის ზომად შეუფარდა ჯარიმა 500 მანეთის ოდენობით, სასპეკულაციოდ გამიზნული საქონლის კონფისკაციით.

## რესპუბლიკის პირველობის ფინალში

ამ დღეებში ქ. მარტვილში ჩატარდა რესპუბლიკის პროფკავშირების მუშაკთა აქტივის ზონალური პირველობა მინიფეხბურთში, სადაც ზუგდიდის რაიონიდან მონაწილეობდა ონარიის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მინიფეხბურთელთა გუნდი საინტერესო და დაძაბულ [illegible], სადაც დასავლეთის ზონის 15 გუნდი ასპარეზობდა. ონარიელებმა პირველი ადგილი დაიკავეს.

ზუგდიდელ ფეხბურთელებს ლაგოდეხში ფინალური მატჩი ელით. წარმატება ვუსურვოთ მათ.

ო. ხუფაცარია.

ქ. ხობის ოლიმპიური რეზერვების სასწავლებელი 1990-1991 სასწავლო წლისათვის აცხადებს მოსწავლე-სპორტსმენთა მიღებას სპორტის შემდეგ სახეობებში: 1). კრივი, 2). ფეხბურთი, 3). კლასიკური ჭიდაობა, 4). მძლეოსნობა. 5). ველოსპორტი, 6). ცურვა.

სასწავლებელში მიიღებიან 1973-1974 წლებში დაბადებული ქალიშვილები და ჭაბუკები, რომელთაც გააჩნიათ სპორტული თანრიგები სპორტის შესაბამის სახეობებში, აგრეთვე უთანრიგო, მაგრამ პერსპექტიული მოზარდები.

სასწავლებელში ჩარიცხვა მოხდება კომპეტენტური საგამოცდო კომისიის მიერ სათანადო ნორმატივების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში.

სასწავლებელში ჩარიცხული ქალიშვილები და ჭაბუკები უზრუნველყოფილ იქნებიან საერთო საცხოვრებლით, სპორტული ფორმით, ინვენტარით და კვებით. მოსწავლეები მთლიანად სახელმწიფო კმაყოფაზე იქნებიან.

სასწავლებლის მოსწავლე-სპორტსმენები სპორტულ დაოსტატებასთან ერთად გადიან სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ პროგრამას, მეორე კლასის დამთავრებისთანავე მოწინავე სპორტსმენები რჩებიან სასწავლებელში და ირიცხებიან ორწლიან საშუალო სპეციალურ სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ ისინი ღებულობენ მწვრთნელის დიპლომს სპორტის არჩეულ სახეობებში, რის შემდეგ მათ უფლება ეძლევათ —უგამოცდოდ, მხოლოდ გასაუბრებით, სწავლა განაგრძონ ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის მეორე კურსზე, ამ ხნის განმავლობაში ისინი გაწვეულნი არ იქნებიან სამხედრო სავალდებულო სამსახურში.

მისაღები გამოცდები იწარმოებს დილის 10 საათიდან 18 ივნისს კლასიკურ ჭიდაობასა და მძლეოსნობაში, 19 ივნისს ცურვასა და ფეხბურთში, 20 ივნისს კრივსა და ველოსპორტში.

მისაღებ გამოცდებზე დასაშვებად საჭიროა ექიმის ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა №286). დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღიურად დილის 9 საათიდან გარდა კვირა დღისა. სასწავლებლის მისამართია: ქ. ხობი, რუსთაველის სანაპირო №1, ქ. ხობის ოლიმპიური რეზერვების სასწავლებელი, ტელეფონები: 30—15, 30—16, 30—77, 27—63.

ხობის რაისაავადმყოფოში 10 ივნისიდან ფუნქციონირება დაიწყო ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის —ეხოსკოპიის კაბინეტმა. ისინჯება: ღვიძლი, ელენთა, ნაღველი, პანკრეასი, თირკმლები, საშვილოსნო, საკვერცხეები, პროსტატა, ფარისებრ-ჯირკვალი და ორსულობა.

კაბინეტს ემსახურება ჯანდაცვის სამეურნეო ანგარიშიან-დაწესებულებათა რესპუბლიკური სამმართველოს ექიმი. გამოკვლევა ფასიანია.

### აბონენტთა საყურადღებოდ!

კავშირგაბმულობის ზუგდიდის რაიონული კვანძის ადმინისტრაცია გაცნობებთ, რომ 600 წყვილიანი კაბელის დაზიანების გამო 20 ივნისამდე არ იმუშავებს ტელეფონები მესხიას, მარჯვენა სანაპიროს, კიროვის, პუშკინის, ქუთაისის, საბჭოს, ძერჟინსკის და მის მიმდებარე ქუჩებზე.

ასევე გამორთულია და 1 ივლისამდე არ ჩაირთვება წერეთლის ქუჩის და მის მიმდებარე ქუჩების ტელეფონები, რომელიც დაზიანებულია ჟუკოვის ქუჩაზე წყალსაწრეტი არხისა და სხვადასხვა კომუნიკაციების მშენებლობის დროს.

რაიკვანძის ადმინისტრაცია.

# გამოსათხოვარი

კეთილშობილი, კაცთმოყვარე, უპრეტენზიო, ენების ჩინებული სპეციალისტი, მუსიკოსი, ხელოვანი, თარჯიმანი, საოცრად შემოქმედებითი ნიჭის მქონე, გულისხმიერი და თავმდაბალი—აი, როგორად ვიცნობდით მისი მეგობრები და კოლეგები ინგა გიორგის ასულ გვათუას პიროვნებას, რომელიც თავის ღრმა ცოდნასა და მაღალნიჭიერებას ჩუმად, უხმაუროდ, დედაშვილურად უნაწილებდა ქალაქ ზუგდიდის №1 საშუალო სკოლის აღსაზრდელებს.

ძნელი დასაჯერებელია, ნატიფი სულიერი სილამაზის პიროვნება, რომელიც ბუნებამ უხვად შეამკო ხალასი ნიჭით და შრომისმოყვარეობით, უდროოდ უნდა იქცეს მტვრად და შეენივთოს მარადისობის წიაღს...

რაოდენ დასანანია, რომ ძვირფასი ინგა მასწავლებელი სამუდამოდ გვემშვიდობება, მაგრამ გვინდა სწამდეს, ყველამ იცოდეს, რომ მის ხსოვნას სპეტაკად შეინახავენ მისი მეგობრები, აღზრდილები.

დაე, მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მშობლიური მიწა კეთილშობილო და სულკურთხეულო ადამიანო; მშვიდობით!

ქალაქ ზუგდიდის №1 საშუალო სკოლის პედკოლექტივი.

რედაქტორი ბ. ჭანტურია.

---

დედა სონჩქა. მეუღლე იმედა, შვილები ოთარი. ვისი. მანანა, მადონა, დინარა. ძმები: კიკია. აპოლონი, დები: ნათელა, თალიკო, მერი. სიძეები პალიკო ტიბუა. ნუგზარი ხარებავა. ზური ლაგვილავა. ვალერი თირქია, იაშა ჭანია. ლილუნი კოპეშავიძე, რძლები: ნინო, ნარგიზა. ანია, შვილიშვილები: ეკა. ბუთხუზი, ასმათი, სოფიკო, ნუკრი, პაატა, ლევანი, სპარტაკი. სულხანი, ძმისშვილები ნანი. მაყვალა, ლალი. ედიკი. დისშვილები: გულადი. ნატო. ზაური. ფატიმა. დარეჯანი, ეკა. მანონი. ცოლისძმა ნაპო კვატანია. ცოლისდები ფაციკო, ლიტა, ბიცოლა დული ჯუგუჩია, ბიძაშვილი ზაირა კოპალაძე, მზახლები: ვარდო, ჩოხო მესხები ოჯახებით იუწყებიან

ვალიკო კაპიტონის ძე ანთიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15 ივნისს. დაკრძალვა 16 ივნისს სოფ. კოლხიდაში.

---

შვილები: გივი. რეზო კარტოზიები. რძლები: მარგო გვაძაბია, ნარგიზა როგავა, სონი კარტოზია, შვილიშვილები: ლაშა, რუსუდანი. თეა, ნატა კარტოზიები, დისშვილები: ეთერი ბოჯგუა, ნათელა გოგინავა. ძმისშვილი ველა შურღაია. დეიდაშვილები. მამიდაშვილები. ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან

თინა (ტინა) ზახვას ასულ შურღაია-კარტოზიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15, 16 ივნისს. დაკრძალვა 17 ივნისს გამოსვენება 18 საათზე. სოფ. ზანა (სენაკის რაიონი).

---

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ზუგდიდის სარაიონთაშორისო ბიურო, გაზეთ „ოდიში"-ს რედაქცია და ზუგდიდის სტამბის კოლექტივი იუწყებიან

ნუშნა ორესტის ასულ ჭითანავა-ბარქაიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე მარგო. შვილები: ემზარი. დაისი, ელვარი. ბესიკი. ძმები: კაკო. რეზო, ზაირო, რძლები: მადული. ნათელა. სვეტა, ჟანა, ნონა, ნინა. მოკონა, შვილიშვილები: ლორეტა, სოზარი, მაკა. იზა. ძმისშვილები: კარლო. მანანა, კანდიკო. მერაბი. მარინე. რამაზი. რობერტი, რუსლანი, რუსუდანი, სიძეები ედემი ქობალია, ტარიელი გეგეჭკორი, ლუდა ანჩაბაძე, დეიდა შურა, მაზიდები: რაისა, ლენა. ბიძები: ვანკო ჭითანავა, პარმენი გაბისონია, გულიშა ბახია, ბიცოლები: რაისა, ლუშა, თათუშა. ნადია. ცოლისძმები: ვარლამი, თალიკო. ცოლისდები: რაისა, მარუსია, ნორა შულაიები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, მაზლიშვილები მულიშვილები იუწყებიან

დუდუნი გიორგის ძე ციკუტანიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15 ივნისს. დაკრძალვა 16 ივნისს ს. ოქტომბერში.

---

მეუღლე ვალოდია, დედა თალიკო, შვილები გივი, ლიანა. მიმოზა, მერი, რძლები: ციური ჯალაღონია, ნათელა კაკავა. სიძე ხუნტული ბოპოხიძე. და ეთერი. ძმა იგორი, მული თებრო, შვილიშვილები ველა, ლელა. დისშვილები, ძმისშვილები, მულიშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან

კლარა ვლადიმერის ასულ შენგელია-ლემონჯავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15. 16 ივნისს, დაკრძალვა 17 ივნისს 6 საათზე. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, სვერდლოვის პირველი შესახვევი 1.

---

და ნორა ჯიქია. სიძე ვალერიანე ცაავა. დისშვილები: გულნარა. რევაზი. ნაწული ცაავები. რძალი მადონა ჰიჰია. სიძეები: გივი ჯოჯუა. ლინდერი ჯანაშია ოჯახებით იუწყებიან

დიდიკო პეტრეს ძე ჯიქიას

გარდაცვალებას.

---

შვილები თემური ლომაია, ლენა ჩარგაზია, დები ჟუჟა. თამარი. შვილიშვილები: ჯეირანი, ცეზარი. ზურაბი, ემზარი. დალი ჩანგელიები. თემური, თენგიზი ლომაიები. ძმისშვილი ლეილა ქეცბაია. სიძეები: სპირიდონ აბსანძე, იროდი აბულაძე. შალიკო ყიფიანი. მურთაზ ხვიჩია. სულიკო ენუქიძე. დისშვილები: აბიბო, ბუბლო შედანიები. ნათელა. გულნარა, ცუცა, გულადი აბსანძეები. ოთარი აბულაძე. რძლები: ნანი ბულია, ბუცა ქეცბაია, ქეთო თორია, მაზლიშვილები: ლუარა, ციური, თამაზი ლომაიები ოჯახებით იუწყებიან

ნურა ბეგოს ასულ ქეცბაია-ლომაიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 14 ივნისს ს. ორსანტიაში.

---

მეუღლე შუშანიკა. შვილები ფელიქსი, ჯანჯა. ვალიქსი. ვალტერი, ოთიკო მანიები. და თამარა. სიძე სარა კაკულია. რძლები: ნანი შელია, ზოია ჩემია, ცინარა ქორია, ნარგიზა თოლორაია. ინგა ქარდავა. შვილიშვილები ფარსადანი. ნინო. თეა. ინგა. კორნელი, რომანი, ირმა, მანუჩარი, მალხაზი, მადონა მანიები. ცოლისძმა მიშა. ცოლისდები: ოლია. ნუცა. ქიქინო ჯაბუები. დისშვილები: ვახტანგი. კარლო. ფრინკო. ლიანა კაკულიები. მამიდაშვილი შალვა სალია, ბიძაშვილები ზაური ნაჭყებია. იაზონი. რეზო მანიები ოჯახებით იუწყებიან

ვალიკო ყარამანის ძე მანიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 15. 16 17 ივნისს, დაკრძალვა 19 ივნისს. სოფელ ჭაქვათაში.

---

ქ. ზუგდიდის №4 საშუალო სკოლის 1985 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან

გიგლა გრიგოლის ძე მაქაცარიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე ნელი. შვილები გია. ეკა. რძლები: მედიკო ქავთარაძე, მადლენა ხურცილავა, ნაირა კვარაცხელია, სიძეები: კახა შამათავა, ბაჩუკი ლობჟანიძე, თემური ლურწკაია, შვილიშვილები: მიშიკო, ვახო, გივიკო, ძმისშვილები: მარინა, მაია, ირმა, ცოლისდა: ნათელა, ცოლისძმა ბორისი ჭურღულიები. ქვისლი ჯუმბერი ბენდელიანი. მზახლები მიშა, მაყვალა ქავთარაძეები, ვახტანგი. დინარა შამათავები, ბიძაშვილები კუკური. ლიანა. დეიდაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან

გივი ვალერიანეს ძე კოდუას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15 ივნისს. დაკრძალვა 16 ივნისს 18 საათზე. გამოსვენება ქ.ზუგდიდი, გამარჯვების ქ. 122.

---

შვილები: გენო, ქეთო. ეთერი. ცისანა, რძალი დალი ფუნჩულიძე, ძმა გრიშა ქირია. სიძეები ვაჟა ფარცვანია, შავროშ ხუფაცარია, ოთარ ხარბედია, მაზლები: ჟორჟი, კოტე გეგეჭკორები, ლავრენტი აბსანძე, მული გული. შვილიშვილები: ნიკოლოზი. მაია. მარინა. კახა. ლალი, გელა, ბექანი. ლელა. თემური, ირაკლი, კარლო. შვილთაშვილები: გოგიტა. ეკა. ძმისშვილები ლილი. გოგონა. გულნარა. მადონა, რაია. მცინარა. მაზლიშვილები. მულიშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვარო ბესარიონის ასული ქირია-აბსანძე.

პანაშვიდი 15, 16 ივნისს 19 საათზე. გამოსვენება 17 ივნისს, ფოთი, ნინოშვილის 139. 18 საათზე. დაკრძალვა მალთაყვის უბნის სასაფლაოზე.

---

მეუღლე გული, და ციცო. დისშვილები: ნატო. ბელა, სიძეები: ვაკოხა გაპისონია, მერაბ ქაიდავა, ბესო გულუა, მამამთილი აკაკი შონია. მული ინეზა შონია, მაზლი ლეო შონია. რძლები: დინარა. ინეზა. ეკა. მაზლიშვილები: მაია, მალხაზი, ჯონი, ჯანო. გელა, ლია. ნოდარიკო, რუსიკო შონიები. ბიძები: ვალოდია მებონია, ვალოდია ქვარაია, ბიცოლები მარო. თამარა. მამიდაშვილები, ბიძაშვილები. დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამრიკო გიორგის ასული ქვარაია-შონია.

პანაშვიდი 15, 16 ივნისს. დაკრძალვა 17 ივნისს 3 საათზე. გამოსვენება ქ. თბილისი, პეჯაძის ქ. (ყოფილი ტელმანი) ბინა 1, კორპუსი პირველი, მეორე სართული, ოთახი 3.

---

მეუღლე ცეზარი. შვილები: ხიიო. [illegible] ლუია, [illegible] ჯიია, [illegible] ბუიო, დები: ლიაია. ციცაია, [illegible] ლოგუაიი, სიძეები: გალტერი ძიგუა, იესიკო ლოიაია. იესიკო ქეცბაია, ჯიიეოი დგებუაძე, ხუგიარი ქვარაია, რძლები: ზეინე [illegible], ნინა. ნადიკო. ბიძები: გიგლა სიჭინავა, გალია [illegible], გივი. [illegible] ლოგუები, სიდედრი ლუბა, სიმამრი რაჟდენ კიკოლაშვილები, მაზლები: ტრისტანი, ტარიელი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მზია (ლეილა) რეჯების ასული ლოგუა-კიკოლაშვილი.

პანაშვიდი 14, 15 ივნისს. დაკრძალვა 16 ივნისს სოფ. ახალქიაში.

---

მეუღლე ვერა, შვილები: გულნარა. გურამი. გიორგი, ვლადიმერი, ოზა, აპოლონი, ლარისა, ძმისშვილები იროდიონი, ვალერიან, ტატიანა. მიხეილი. დავითი, ციციონ, დისშვილები: ძუია. ნოდარ ლაგვილავები. თათუშა ლოდია, ოესო ხვიტია. სიძეები ვანო ტალახაძე. ვახტანგი ფუთურიძე. თამაზ ფერაძე, ხუგზარ როგავა, რაჟდენ ნაჭყებია, ტერენტი გოგია, ინდიკო დაგოღულია, რძლები: ვერა კოსტიანოვა, დოდო ქვარაია, ეთერ კაცაძე, ინეზა ბალათურია, მათიკო წიქარიშვილი, ლუსია, თინა ჩიჩუები. ნორა კვარაცხელია, შვილიშვილები: იზა. მარიხა, ავთანდილი. ნანა, ინდირა, ლეილა. ირმა, გია, ნონა, მაკა. ლალი. ლერი, მიხეილი, ნესტანი, ფატიმა, ნინო. ინგა იუწყებიან

მიხეილ შოშიას ძე ჯიქიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15 ივნისს. დაკრძალვა 16 ივნისს რიყეში.

---

შვილი ციალა. დედამთილი ლუბა. შვილიშვილები თამილა, მთვარისა. ჯანო. ბონდო. ბორისი. სოსო, რამინი. პაატა ძონიები. მაზლები: მამანტი, სულიკო ფანცულაიები, რძლები: რუსიკო. ლიდა. რუსუდანი. მანანა. რიმა. მაკა, სიძეები. თამაზი ბუხრაშვილი, ვალერი გუგუჩია. შვილთაშვილები ოჯახებით იუწყებიან

ნურა ალექსანდრეს ასულ შონია-ფანცულაიას

გარდაცვალებას, პანაშვიდი 14. 15 ივნისს. დაკრძალვა 16 ივნისს სოფ. კახათში.

---

ზუგდიდის სავაჭრო ტექნიკური ცენტრი „გარანტის" კოლექტივი იუწყება

მერი ლევანის ასულ კუკავა-კაკაბაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ИНДЕКС 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი. მერაბ კოსტავას ქ. № 52 ტელეფონები: რედაქტორის —2-24-80. რედაქტორის მოადგილის— 2-83-69, პასუხისმგებელი მდივნის —2-81-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების —2-21-78 მშრომელთა წერილების — 2-25 12, რადიორედაქციის —2-47-09

საქ. სსრ გამსახკომის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 56 ტელეფონი 2 23-07 ტირაჟი 22000. შეკ. №2084